მიუხედავად დიდი მონდომებისა

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” მინსკი – 0:0.

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 აპრილი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, ქორიძე (შენგელია), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (დარასელია), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, ჩიკოლი, შავეიკო, პროკოპენკო, ბუმბუტისი, პუდიშევი, პავლოვი, კურნევი, ვასილევსკი.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია რუმბუტისი.

სტუმართა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ე. მალოფეევმა თამაშის წინ პირდაპირ განაცხადა: თბილისში გამარჯვებისათვის ჩამოვედით და დაცვაში “ჯდომას” არ ვაპირებთო. ეს სიტყვები, დაგვერწმუნებით, ლიტონი განცხადება არ იყო და არც მწვრთნელის, ასე ვთქვათ, კეკლუცობა. ამაში პირველივე წუთებიდანვე დავრწმუნდით, როდესაც სოკოლმა, პუდიშევმა და პროკოპენკომ საკმაოდ მწვავე კომბინაცია გაითამაშეს დინამოელთა ნახევარზე და მასპინძლებს კარის მისადგომების სწრაფი გადარაზვა მოუხდათ. მ. მაჩაიძის უკან დაწევის ხარჯზეც კი ამას მოჰყვა ვასილევსკის რეიდი მარჯვენა ფლანგიდან და “სასინჯი” დარტყმა კარის დაბალ კუთხეში. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

მე–7 წუთზე კი საფრთხე უკვე მინსკელთა კართან შეიქმნა: ჩელებაძემ კარგად მიაწოდა ბურთი საჯარიმოს ხაზთან მყოფ ყიფიანს, რომელმაც უზუსტოდ დაარტყა. ასე, ზედმეტი დაზვერვის გარეშე დაიწყეს მატჩი მეტოქეებმა, რომლებიც საკმაოდ კარგად იცნობენ ერთმანეთს.

თბილისელებმა ამჯერადაც არ უღალატეს ჩვეულ ტაქტიკას: ბურთის აუჩქარებელ, დამაჯერებელ გადაცემებს შუა მოედანზე და მოულოდნელ პასებს ფლანგიდან ფლანგზე. მასპინძლები შეუპოვრად ეძებდნენ მეტოქის კარისკენ მისასვლელ გზებს, რათა გადამწყვეტი დარტყმით დაეგვირგვინებინათ თავიანთი საკმაოდ დიდი სათამაშო უპირატესობა. მრავალი იერიში მიიტანეს ჩვენმა ფეხბურთელებმა მინსკელთა კარზე. განსაკუთრებით ბევრი მომენტი შეუქმნეს პარტნიორებმა ანგარიშის გახსნისათვის ჩელებაძეს, მაგრამ ამაოდ. ზოგ შემთხვევაში ჩვენი თავდამსხმელები სცოდავდნენ უზუსტო დარტყმებით, ზოგჯერ ბურთს გზას უღობავდა სტუმართა დაცვა და ჩინებულად მოასპარეზე მეკარე ვერგეენკო, დროდადრო კი ჩვენს მარცხენა გარემარბზე (მას ამ დღეს თავური დარტყმებისთვის რამდენიმე ჩინებული ბურთი “მოუმზადა” გუცაევმა) პირდაპირ “დახუნძლული” იყო ერთდროულად მინსკელთა ორი–სამი მცველი.

ასეა თუ ისე, მიუხედავად დიდი მოწადინებისა (განსაკუთრებით ეს გუნდის კაპიტანს მ. მაჩაიძეს ეხება), თბილისელებმა ვერ გამოიყენეს მრავალი ხელსაყრელი მომენტი (ჩელებაძემ, კოპალეიშვილმა, გუცაევმა, ყიფიანმა) და ელექტროტაბლოზე მსაჯის ფინალური სასტვენისთვის კვლავინდებურად ენთო უსიამოვნო “ნოლები”.

სტარტზევე დაიკარგა ერთი ქულა, თანაც სახლში, მაგრამ, ვფიქრობთ, სასაყვედურო ამჯერად ბევრი არა გვაქვს რა. ქულების “დათვლა” ჯერ კიდევ ნაადრევია და ახლა მთავარია გუნდმა კარგი თამაში აჩვენოს, რაც ჩემპიონატში წარმატებითი გამოსვლის გარანტიას იძლევა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ დღეს მეორე ტაიმში მოედანზე გამოვიდნენ დარასელია და შენგელია, რომლებმაც ორი დღით ადრე ერევნის “რაზდანის” სტადიონზე ევროპის პირველობის ძნელი

მატჩი ჩაატარეს იტალიელებთან ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.

ორიოდე სიტყვა ჩვენ მეტოქეზეც. მინსკის "დინამო" რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, ეს ბელორუსმა ფეხბურთელებმა გასულ სეზონშიც დაამტკიცეს (ისინი შარშან VI ადგილზე გავიდნენ). გუნდს საიმედო მეკარე, ძლიერი დაცვა (მაღალი ბურთების ჩინებული ოსტატის შავეიკოს მეთაურობით) და მოძრავი ნახევარდაცვა (პირველ რიგში გუნდის კაპიტანი პუდიშევი) ჰყავს. ზუსტად ორგანიზებული დაცვიდან (ხშირად ისინი პრესინგს მიმართავდნენ), მინსკელები სწრაფად გადადიან შეტევაზე და საკმაოდ მწვავე კონტრიერიშები მიაქვთ მეტოქის კარზე. ამის საილუსტრაციოდ, თუ გნებავთ, განვლილი მატჩის 82–ე წუთი გამოდგებოდა, როდესაც შეტევით გართულმა მასპინძლეთა მცველებმა (მეტოქეს ხშირად უტევდნენ ჩივაძე, სულაქველიძე და კოსტავაც) წამით მხედველობიდან გამოტოვეს გაბელიასთან პირისპირ გასული სტუმართა ყველაზე ენერგიული და სახიფათო ფორვარდი სოკოლი. მინსკელის უძლიერესი დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. მართალია, ეს მომენტი იშვიათი, ასე ვთქვათ, ეპიზოდების კატეგორიების სფეროდანაა, მაგრამ საკმაოდ დიდი ჯაფაგადატანილი თბილისელთათვის (რომლებსაც ამ დღეს, უნდა ითქვას, ბედიც არ წყალობდათ!) მატჩის ეპილოგი კინაღამ საბედისწერო გამოდგა.

ბ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
"ლელო", 5 აპრილი, 1980 წ.